

დიმიტრი არაკიშვილი

DIMITRY ARAKISHVILI

ღამეა ბნელი

რომანსი

IT'S DARK NIGHT

ROMANCE



დიმიტრი არაკიშვილი
DIMITRI ARAKISHVILI

ღამეა ბნელი
რომანსი

IT'S DARK NIGHT
ROMANCE

თბილისი
TBILISI
2023

GEORGIAN CLASSIC 

პროგრამა

„ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების
განვითარების ხელშეწყობა“

PROGRAM

“Support for the development of Georgian professional music”

პროექტი

„ქართული კლასიკური მუსიკის საგანძური - ციფრული არქივი“

PROJECT

“Georgian classical music treasure – digital archive”

პროექტის ავტორები - თამარ ნასიძე - მაყაშვილი, თამარ ქერეჭაშვილი

Project authors - Tamar Nasidze-Makashvili, Tamar Kerechashvili

პროექტის ხელმძღვანელი - თამარ ქერეჭაშვილი

Project manager - Tamar Kerechashvili

აღმასრულებელი მენეჯერი - თამარ ნასიძე-მაყაშვილი

Executive manager - Tamar Nasidze-Makashvili

ხელნაწერი სანოტო მასალის რედაქტორი - ზურაბ ნადარეიშვილი

Manuscript editor - Zurab Nadareishvili

მუსიკალური რედაქტორი - თამარ ჩხეიძე

Music editor - Tamar Chkheidze

კორექტურა - მაია სირაძე

Proofreading team leader - Maia Siradze

ანოტაციის ავტორი - თამარ წულუკიძე

Music editor - Tamar Tsulukidze

ანოტაციის თარგმანი - თამარ ხარაძე

English language translator - Tamar Kharadze

დიზაინი - ნინო შოშიაშვილი

Design - Nino Shoshiashvili

მოდელირება - ილია სოლომონია


Modeling - Ilia Solomonias

პროგრამული უზრუნველყოფა - ირაკლი არეშიძე

Software - Irakli Areshidze

დაკაბადონება - მაკა ცომაია

Layout design - Maka Tsomaia



© საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia

© ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის, განვითარებისა და ინფორმაციის ცენტრი
Georgian Art Popularization, Development and Information Center

დიმიტრი არაკიშვილი

DIMITRI ARAKISHVILI

(1873-1953)

რომანსები

ROMANCES

დიმიტრი არაკიშვილი ახალი ქართული პროფესიული მუსიკის კლასიკოსია. მელიტონ ბალანჩივაძესთან, ზაქარია ფალიაშვილთან, ვიქტორ დოლიძესთან, ნიკო სულხანიშვილთან ერთად, მან საფუძველი ჩაუყარა პროფესიული მუსიკის რიგ ჟანრებს, შექმნა ამ ჟანრთა ერთ-ერთი პირველი ნიმუშები.

არანაკლებ ფასეულია არაკიშვილის საზოგადო და სამეცნიერო მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორმა ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს გარეთ გაატარა, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქართული ეროვნული მუსიკის სამსახური, რაც უწინარესად ქართული ფოლკლორული ნიმუშების მოპოვებაში, მათ გაშიფვრასა და შესწავლაში გამოიხატებოდა. ამით მან საფუძველი დაუდო ქართულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკას. აღსანიშნავია, რომ პირველად, სწორედ არაკიშვილმა წამოჭრა ქართული ხალხური მუსიკის უნიკალურობის საკითხი.

დიმიტრი არაკიშვილის შემოქმედების ერთ-ერთი სათავე ქალაქური, ე.წ. „ტფილისური ფოლკლორია“. ეს ფენომენი სა-

Dimitri Arakishvili was a new Georgian professional music classicist. Together with Meliton Balanchivadze, Zakaria Paliashvili, Viktor Dolidze, and Niko Sul Khanishvili, he developed the basis for a variety of professional music genres, creating one of the first examples.

Arakishvili's public and scientific activity is equally important. Despite spending much of his life outside of Georgia, the composer's main purpose in life and work was to serve Georgian national music, which was manifested principally in the collecting of Georgian folklore samples, their interpreting, and analysis. He therefore set a foundation for Georgian musical folklore. It should be mentioned that Arakishvili was the first person to emphasize this aspect of Georgian folk music's uniqueness.

The urban, so-called "Tbilisi Folklore," is one of the sources of Dimitri Arakishvili's creativity. This phenomenon was produced by the immigration of various nations and their artistic endeavors in Tbilisi, Georgia's capital. The pioneers of Georgia's new pro-

ქართველოს დედაქალაქ თბილისში, სხვადასხვა ეროვნების და მათი ხელოვნების დამკვიდრებამ წარმოქმნა. ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლები გაიტაცა „ტფილისური ფოლკლორის“ იმ განშტოებამ, რომელიც აღმოსავლურ კულტურასთან ასიმილირებას უკავშირდება. მათი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმ დროისათვის პოპულარულმა აშულურმა ხელოვნებამ. თბილისის ყოფაცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სპარსული, თურქული, სომხური კულტურის პირმშომ – აშულთა სასიმღერო შემოქმედებამ და ამ ჟანრის სახალხო მომღერალმა – შემსრულებლებმა – აშულებმა. ფართოდ გავრცელდა აშულური მუსიკისთვის დამახასიათებელი ცალფა, სოლო სიმღერა აღმოსავლური საკრავების: საზისა და თარის თანხლებით, ასევე, ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრები – ბაიათი, მუხამბაზი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მომღერლებიც კი ხშირად ქართულ სიმღერებს ასრულებდნენ აშულურ მანერაზე და სწორედ ამ მოვლენამ ჩამოაყალიბა „ტფილისური ფოლკლორის“ ეს განშტოება. ეს გავლენა აღიბეჭდა დიმიტრი არაყიშვილის მუსიკალურ ენაზეც, რომელიც „ტფილისური ფოლკლორისათვის“ დამახასიათებელ მელოდიურ, კილო-ჰარმონიულ, საკადანსო მიმოქცევაზეა აგებული.

არაყიშვილის მუსიკალური მემკვიდრეობა ჟანრულად მრავალფეროვანია. იგი ავტორია ერთ-ერთი პირველი ქართული ოპერის – „თემულება შოთა რუსთაველზე“, პირველი ქართული სიმფონიური ნაწარმოებების – სიმფონიური სურათი „ჰიმნი ორმუზდს“, იგივე „სამანდრებს შორის“, სიმფონია N 1 (სულ 3 სიმფონია), საორკესტრო სუიტის „ნესტანი“, ამავე სახელწოდების ოპერის საორკესტრო ვერსია. და მაინც, კომპოზიტორის შემოქმედების ცენტრალურ სფეროს რომანსი წარმოადგენდა. ამ ჟანრს მიეკუთვნება მისი პირველი საკომპოზიტორო ცდები. რაც მთავარია, როგორც მუსიკოლოგი ლადო დონაძე აღნიშნავს, არაყიშვილი „რომანსულად მოაზროვნე

fessional music were taken away by the genre of “Tiflisi folklore” associated with assimilation with Eastern culture. Their interest was particularly drawn to Ashuguri creating art, which was popular at the period. The vocal creations of the first-born of Persian, Turkish, and Armenian culture, – Ashugebi – and folk singers-performers of this genre – Ashughuri – took an important place in Tbilisi's life. Solo song accompanied by oriental instruments such as saz and tar, as well as vocal-instrumental genres such as Bayātī and Mukhambazi, achieved popularity. Even singers from different districts of Georgia frequently play Georgian songs in Ashugh style, and it was this particular event that gave birth to this branch of “Tiflisi folklore.”

This influence may also be found in Dimitri Arakishvili's musical language, which is based on the melodic, kilo-harmonic, cadence cycle typical of “Tbilisi folklore.” Arakishvili's musical background is wide. He wrote one of the first Georgian operas, “The Tale of Shota Rustaveli,” as well as the first Georgian symphonic works, “Hymn to Ormuzd,” also known as “Among Sasanders,” Symphony No. 1 (3 symphonies in total), and “Nestani” from the orchestral suite of the same name. Nonetheless, romance was the composer's main artistic expression. His early compositional attempts adjust into this category. Most significantly, Arakishvili is a “romantic composer,” according to musicologist Lado Donadze. The “romantic” genesis infuses all of his works, regardless of genre. Today, it should be mentioned that it was Arakishvili who initiated “romantic” belief in Georgian music, which may be considered one of the guiding forces in the long process of formation of new Georgian professional music. Dimitri Arakishvili has written almost 80 novels. Throughout his

კომპოზიტორია“. „რომანსული“ საწყისი მსჭვალავს მთელ მის შემოქმედებას, ყველა ჟანრს. დღევანდელი გადასახედიდან კი, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ არაყიშვილმა ქართულ მუსიკაში სათავე დაუდო „რომანსულ“ აზროვნებას, რაც, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი წარმმართველი ფაქტორი გახდა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის განვითარების ხანგრძლივი პროცესის მანძილზე.

დimitრი არაყიშვილი 80-მდე რომანსის ავტორია. იგი ამ ჟანრის ნაწარმოებებს წერდა მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. კომპოზიტორის ადრინდელ რომანსებშივე გამოვლინდა მისი სტილისტური ნიშნები: სისადავე, ბუნებრიობა, რელიეფურობა, მღერადობა, კანტილენურობა, გამჭვირვალე ჰარმონიული ენა.

არაყიშვილი რომანსების ტექსტებისათვის მიმართავდა სხვადასხვა დროის, ეპოქის, ეროვნების ავტორებს. მას 30-ზე მეტი პოეტის ლექსის მიხედვით აქვს შექმნილი ამ ჟანრის ნაწარმოები. მისი რომანსები შთაგონებულია ქართველი პოეტების: ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი, ქუჩიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, სანდრო შანშიაშვილის, სპარსი პოეტის - ჰაფიზის, რუსი პოეტების: ალექსანდრე პუშკინის, მიხაილ ლერმონტოვის, აფანასი ფეტის, ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის ლექსებით. რაც შეეხება კომპოზიტორის მიდგომას პოეტური სიტყვისადმი, მისთვის ამოსავალია ლექსის იდეა, განწყობა, რომლის საფუძველზეც კომპოზიტორი მისეულ მუსიკალურ ხანხატს ქმნის. ამგვარად, პოეზიისადმი მისი დამოკიდებულება განზოგადების პრინციპს ემყარება.

დimitრი არაყიშვილი პირველივე რომანსებიდან წარმოიჩინა, როგორც კომპოზიტორი-ლირიკოსი, რომლის სტილია ცოცხალი, სუბილური, ბუნების წიაღისადმი ლტოლვა, სასიყვარულო განცდები... ამიტომაც ბუნებრივია, რომ მისთვის ყველაზე

long and fruitful life, he wrote works in this genre. His earlier romances demonstrated his stylistic characteristics: tranquility, naturalness, calmness, vocal performance, cantilena style, and transparent harmonic expression.

For romance composing, Arakishvili used authors from many eras, times, and nationalities. Based on the poems of more than 30 poets, his romances are inspired by Georgian poets: Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Alexander Kazbegi, Giorgi Kuchishvili, Galaktion Tabidze, Sandro Shanshiashvili, Persian poet - Hafiz, Russian poets: Alexander Pushkin, Mikhail Lermontov, Afanasy Fet, a classic of Ossetian literature - Kosta Khetagurov.

In terms of the composer's approach to the poetic word, he begins with the idea of the poem, the atmosphere, from which he creates a particular musical sketch. As a result, his attitude toward poetry depends on the idea of generalization.

Dimitri Arakishvili established as a composer-lyricist whose nature was grief, desire, longing for the essence of nature, romantic sensations... it is logical that romance-elegy became his most comparable and favorite genre. Affection theme played the leading role in his romances, which are presented in a wide range: serene beginning dominates in the romances "Rise Up, Spread Your Wings", an exciting, passionate feeling in the romance "Me Shen Geli" (Waiting for you) (on the text of M. Davidova), pastoral-pantheistic beginning in the romances "On the Mountains of Iveria", "Starry Night" (on the text of A. Fet), sad anticipation in the romance "Come to the rose-flower kingdom" - on the text of Hafiz). In a romance inspired by the poem "On the Iverian Mountains" by the great Russian

მახლობელ და ტიპურ ჟანრად რომანსი-ელევია იქცა. წამყვანი როლი მის რომანსებში სატრფიალო მოტივმა დაიკავა, რაც თავის მხრივ ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი: ფაქიზი, ჭვრეტითი საწყისი დომინირებს რომანსებში „აღზევდი, არხიე ფრთები“, მღელვარე, მგზნებარე განცდა, რომანსში „მე შენ გელი“ (მ. დავიდოვას ტექსტზე), პასტორალურ-პანთეისტური საწყისი რომანსებში „ივერიის მთებზე“, „ვარსკვლავიანსა ღამეს“ (ა. ფეტის ტექსტზე), სევდანარევი მოლოდინი რომანსში „ვარდ-ყვავილოვან სამეფოს მოდი“ (ჰაფიზის ტექსტზე). სასიყვარულო განცდები და ღამეული ბუნების სურათები ერწყმის ერთმანეთს დიდი რუსი პოეტის, ალექსანდრ პუშკინის ლექსით შთაგონებულ რომანსში „ივერიის მთებზე“.

ზემოთ აღნიშნული „ტფილისური ფოლკლორისათვის“ დამახასიათებელი აღმოსავლური, მუხამბაზური შეფერილობა განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა არაყიშვილის იმ რომანსებში, რომელიც მე-14 საუკუნის სპარსი პოეტის ჰაფიზის ლექსებზეა დაწერილი: „აღსდექ, შეინავარდე..“, „სიოვ, ნაზო“, „ვარდ-ყვავილოვან სამეფოს მოდი“. ამ რომანსებში დომინირებს აღმოსავლური ფოლკლორისთვის დამახასიათებელი ნიუანსები: უხვი მელიზმატიკა, ჰარმონიული მინორის ტონალობა, ინტერვალი - გადიდებული სეკუნდა.

საზოგადოდ, არაყიშვილის რომანსებში „ტფილისური ფოლკლორისათვის“ დამახასიათებელი ორიენტალიზმი, ორგანულად იჩენს თავს როგორც ჰარმონიულ ჟღერადობაში, ასევე მელოდიურ, კილო-ჰარმონიულ, საკადანსო მიმოქცევაში. ნაწარმოებების ფაქტურა ჰომოფონიურია. უმრავლესობა რომანსებისა ორ და სამნაწილიან ფორმითაა დაწერილი, ნაკლებად ახასიათებს ნაწილებს შორის კონტრასტულობა. ზოგჯერ, შუა ნაწილს კიდურა ნაწილებისგან მხოლოდ ტონალობა განასხვავებს.

აღსანიშნავია, რომ არაყიშვილის რომანსებში საფორტეპიანო პარტია მხოლოდ

poet Alexander Pushkin, love sentiments and visions of midnight nature combine.

The oriental coloration of the mentioned “Tbilisi folklore” is especially strong in Arakishvili’s romances based on the poetry of the 14th century Persian poet Hafiz: “Arise, Sheinawarde..”, “Siov, Nazo”, “Come to the Rose-Flower Kingdom”. These romances are characterized by Eastern folklore aspects such as heavy melismatics, harmonic minor tonality, and expanded 2nd interval.

In general, the oriental culture characteristic of “Tbilisi folklore” shows organically in Arakishvili’s novels, both in the harmonic sound and in the melodic, kilo-in harmonic, cadence usage. The pieces have a homophonic appear. The majority of the romances are written in two or three parts, with little contrast between them. Only tone sometimes separates the middle and end parts. It should be emphasized that the piano part in Arakishvili’s romances is not just for accompaniment. In the romance “Siov Nazo,” for example, the piano delivers the general atmosphere, the image of nature, and the sound of the wind. The tune played in the piano part at the beginning of the romance “O beauty, don’t you sing with me” (based on A. Pushkin’s text) illustrates the hero’s sad mood. The piano represents the outpouring of emotions again in the middle part.

Arakishvili’s civic values, coming from his musical background, may be shown most clearly in his romances. It is no surprise that his first romance is “Tkemmoiskha Potholi,” which is based on Ilia Chavchavadze’s poetry “Spring,” that conveys the spirit of the nation.

Later, the composer, who had already arrived in Georgia, showed his profound feelings about his native country’s fate in his romances. Giorgi Kuchishvili, the com-

აკომპანემენტის ფუნქციით არ შემოიფარგლება. მაგალითად, რომანსში „სიოვ ნაზო“ ფორტეპიანო გადმოსცემს საერთო ატმოსფეროს, ბუნების სურათს, ქარის ქროლვას. რომანსში „ო, ტურფავ, შენ ჩემთან ნუ მღერ“ (ა. პუშკინის ტექსტზე) ინტროდუქციაში ფორტეპიანოს პარტიაში გატარებული მელოდია გამოხატავს გმირის ნაღვლიან განწყობას. შუა ნაწილში კვლავ ფორტეპიანო გადმოსცემს გრძნობათა აბობოქრებას.

არაყიშვილის მოქალაქეობრივი მრწამსი, მისი მუსიკალური მემკვიდრეობიდან, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მკაფიოდ რომანსებში გამოვლინდა. შემთხვევითი არ არის, რომ მისი პირველი რომანსი არის „ტყემ მოისხა ფოთოლი“, შექმნილი ილია ჭავჭავაძის ლექსის „გაზაფხულის“ მიხედვით, სადაც პატრიოტული სულისკვეთებაა გადმოცემული.

მოგვიანებით, უკვე საქართველოში მყოფმა კომპოზიტორმა მშობლიური ქვეყნის ხვედრით გამოწვეული ძლიერი განცდები კვლავ რომანსებში გამოხატა. მისი თანამოაზრე აღმოჩნდა კომპოზიტორის თანამედროვე პოეტი გიორგი ქუჩიშვილი. ქუჩიშვილის ტექსტებზე შეიქმნა რომანსები: „ღამეა ბნელი“, „შემოღამება“, „ურმული“. ამ ნაწარმოებებს თემატიკის გარდა აერთიანებს მღერადი რეჩიტატიულ-დეკლამაციური მელოდია, ასევე რიტმულ-ჰარმონიული წყობა. აღნიშნული ქმნილებები ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული ქართული რომანსებია, ისევე, როგორც „ვარსკვლავიანსა ღამეს“, „მე შენ გელი“, ივერიის მთებზე“, „ვარდ-ყვავილოვან სამეფოს მოდი“...

დიმიტრი არაყიშვილის რომანსებზე, ამ ჟანრის კლასიკურ ნიმუშებზე ქართველ მომღერალთა თაობები აღიზარდა, და დღემდე რჩება ვოკალურ საშემსრულებლო ხელოვნების სარეპერტუარო ქმნილებად.

poser's fellow poet, turned out to be his colleague. Romances were written based on Kuchishvili's texts: "The Night Is Dark", "Shemogomeba", and "Urmuli".

These compositions are connected by a singing recitative-declamatory melody as well as a rhythmic-harmonic arrangement, in addition to the theme. These works, along with "Starry Night", "Me Shen Geli", "On the Mountains of Iveria", and "Come to the Rose-Flower Kingdom", are among the most popular Georgian romances.

Generations of Georgian singers were raised on Dimitri Arakishvili's romances, on the classical samples of this genre, which remain repertoire compositions of vocal arts performances to the present day.

მუსიკოლოგი თამარ წულუკიძე
Musicologist Tamar Tsulukidze

ტექსტის ინგლისური თარგმანი თამარ ხარაძე
English language translator TAMAR KHARADZE

"ღამეა ბნელი"

"It's Dark Night"

დიმიტრი არაკიშვილი
Dimitri Arakishvili
(1873-1953)

სიტყვები: გ.კუჩიშვილი
Text: G.Kuchishvili

(1919)

Allegro non troppo

ღ - მე - ა ბნე - ლი, ღ - მე - ა

გრძე - ლი, სულ - სა ჰგლობს ჭმუნ - ვა, სულ - სა ჰკლავს გლო - ვა; ა - რა - ვი -

ნა ჩანს, ა - რა - ვის ვე - ლი, ან ვის ვახ - სო - ვარ,

19 *f*

ვინ მყავს, ვინ მო - ვა? მდუ - მა - რებს ა - რე, მდუ - მა - რებს ვე - ლი,

19

f

25 *mf* *f*

სუ-ლი მწუხრ - დე-ბა, სუ-ლი ვა - ლა-ლებს; ა - რა-ვი - ნა ჩანს, ა-რა-ვის ვე-ლი,

25

mf *f*

33 *rit.* *mf*

ვინ შე - მიმ - შრა - ლებს ცრემ-ლი - ან თვა - ლებს? ღა-მეა - ა ბნე - ლი,

33

rit. *mf*

39 *poco rit.*

ღა-მე - ა გრძე-ლი, სულ - სა ჰგლობს ქმუნ-ვა, სულ - სა ჰკლავს გლო-ვა;

45 *f*

ა - რა - ვი - ნა ჩანს, ა - რა - ვის ვე - ლი, ან ვის ვახ -

50 *poco a poco rit.*

სო - ვარ, ვინ მყავს, ვინ მო - ვა?..

poco a poco rit. *rit.*